სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის

ბრძანება №03-2-16

1996 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

„დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციაში“ ცვლილებები და დამატებები №6“

„გრანტით მიღებული საქონლისა და ფულადი სახსრების დაბეგვრის თაობაზე“ საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის №300-11ს კანონის შესაბამისად „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1994 წლის 31 იანვრის №2 ინსტრუქციაში შეიტანება შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 თავის მე-17 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტი გადმოიცემა ახალი რედაქციით

„უ) სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისათვის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარებით და გრანტით იმპორტირებული საქონელი, გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრებით საქართველოში შეძენილი საქონელი.

„გრანტით საქართველოში საქონლის შეძენისას გრანტის მიმღები მომწოდებელს უხდის დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც მას უბრუნდება ბიუჯეტიდან საგადასახადო ინსპექციის მიერ თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით სათანადო საბუთების წარდგენიდან ორი კვირის განმავლობაში“.

სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე თ. დვალი